სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

24 თებერვალი 2025 B25021642/48

გადაწყვეტილება # B25021642/48 (24/02/2025 20:29:06)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B25021642** 18/02/2025 10:35:11 (განმცხადებელი: კახი სამხარაძე/01027058957/), რომლითაც მოთხოვნილია ახალი სუბიექტის რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი - კონსტიტუციის 78-ე მუხლი**
დასახელება ლათინურად: **Public Servants Independent Professional Union - Article 78 of the Constitution**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის წარმოსადგენია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე, მოთხოვნილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია სახელწოდებით: „საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი - კონსტიტუციის 78-ე მუხლი“.

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ:

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მსგავსი სახელწოდებით რეგისტრირებულია: ა(ა)იპ „საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი“ (ს/ნ 211376278), ა(ა)იპ „საქართველოს სახელმწიფო საჯარო სამსახურის, მუნიციპალური

დაწესებულებების და საზოგადოებრივი მომსახურების პროფკავშირი“ (ს/ნ 211360917) ა(ა)იპ „კონსტიტუციის 78-ე მუხლი“ (ს/ნ 406412617).

ვინაიდან, სუბიექტის რეგისტრაციას აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა და იგი ექცევა სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის გამო. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას. ამავე მუხლის 4^1 ნაწილის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდების განსაზღვრისას დამატებით გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით მეწარმის საფირმო სახელწოდებისთვის დადგენილი წესები.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, დაუშვებელია სახელწოდებაში გამოყენებული იქნას საქართველოში რეგისტრირებული სხვა იურიდიული პირის სახელწოდების იდენტური ან მიმსგავსებული ფორმულირება, ამ პირის თანხმობის გარეშე. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი პირის საფირმო სახელწოდების იდენტური ან იმდენად მიმსგავსებული ფორმულირება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა, ამ პირის თანხმობის გარეშე.

3. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1), მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.